ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ახალი თავმჯდომარე ჰყავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. საიას გამგეობამ 10 ნოემბერს გამგეობის თავმჯდომარედ გიორგი ჩხეიძე და თავმჯდომარის მოადგილედ ლალი ჩხეტია აირჩია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდების თანახმად, გამგეობის თავმჯდომარე ირჩევა ერთი წლით. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს თავმჯდომარე ზედიზედ ორჯერ. გიორგი ჩხეიძემ ანა დოლიძე შეცვალა, რომელიც 2004-2006 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გახლდათ.